ევროპის სოციალური ქარტია
მოკლე მიმოხილვა

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

„ევროპის სოციალური ქარტია და მისი მონიტორინგის პროცედურა წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. მათი დახმარებით სახელმწიფოებს შეუძლიათ იყვნენ უკეთ ინფორმირებულნი და უკეთ მოემზადონ ქარტიით დაცული ადამიანის უფლებების სფეროში გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს ინსტრუმენტები კარგი მმართველობის ნაწილია, რომლის განხორციელებაც ყველა ადამიანისთვის ყველა სახელმწიფოს ვალია. კარგი დემოკრატიული (ან მონაწილეობითი) მმართველობა სწორადაც რომ კარგი არგუმენტია სახელმწიფოების დასარწმუნებლად, რომ მიუერთდნენ ქარტიის მეტ და სასურველია ყველა დებულებას და ასევე კოლექტიური საჩივრების პროცედურას“.

ჯუზეპე პალმიზანო, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის პრეზიდენტი

ფოტოები: © ევროპის საბჭო
ყდის დიზაინი და გრაფიკული უზრუნველყოფა:
დოკუმენტაციისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი, ევროპის საბჭო

© ევროპის საბჭო, ნოემბერი 2020
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

ქარტიით გათვალისწინებული უფლებები

ქარტიით გათვალისწინებული უფლებები თითოეულ ადამიანს, მის ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. ქარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწყვლადი ადამიანებისა და ჯგუფების უფლებებს.

საცხოვრებლით უზრუნველყოფა

- საკანონმდებლო ჩარჩო ადეკვატური სტანდარტის საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად (უსაფრთხო, ჯანსაღი და ადეკვატური ზომის საცხოვრებელი) (31§1)
- სამართლებრივი და პროცედურული დაცვა გამოსახლების შემთხვევაში (31§1, 31§2)
- პოლიტიკა და ქმედება უსახლკარობის პრევენციისთვის (31§2)
- უსახლკარო ადამიანების ადეკვატური თავშესაფრით უზრუნველყოფა (31§2, 13§4)
- ადეკვატური ხარისხის და რაოდენობის სოციალური საცხოვრებლის უზრუნველყოფა (31§3)

ჯანმრთელობის დაცვა

- ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა (11§3)
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესება ამ სფეროში განათლების და დაავადებათა სკრინინგის გზით (11§2)
- დაავადებათა და უბედურ შემთხვევათა პრევენცია (11§3, 3§2)
- ადეკვატური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების და მასზე ეფექტური წვდომის უზრუნველყოფა (11§1)
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ხელმოკლე ადამიანებისთვის, მათ შორის დროებით მცხოვრები პირებისთვისაც (13§1, 13§4)
- დაცვა ორსულობის პერიოდში და შესაბამის სერვისებზე წვდომა (11§1, 11§2), ქალების სამუშაო პირობების რეგულირება ორსულობის პერიოდსა და დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით (8)
- უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო (3§1, 3§2, 3§3, 3§4, 2§4)

განათლება

- უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება ყველა ბავშვისთვის (17§1, 7§3)
- პროფესიული ორიენტაციის უფასო და ეფექტიანი სერვისები (9)
- პროფესიული ტრენინგები (უწყვეტი განათლების ჩათვლით), სტაჟირებები და უმაღლეს განათლებაზე წვდომა მხოლოდ ინდივიდუალური უნარების საფუძველზე (10)
- განათლებაზე, პროფესიულ გადამზადებასა და რეაბილიტაციაზე სრული წვდომა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (15§1, 10§1, 1§4)
- ენის სწავლება მიგრანტებისთვის (19§11, 19§12)

დასაქმება

- წვდომა დასაქმებაზე:
  - სრული დასაქმებისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება და სამუშაოზე თანასწორი და ეფექტური წვდომის უზრუნველყოფა (1§1)
  - უფასო დასაქმების სამსახური სამუშაოს მაძიებლებისთვის (1§3) და ზომების მიღება ხანგრძლივად უმუშევრების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციისთვის (10§4)
  - რეაბილიტაცის სერვისები (1§4) და შრომის ბაზარზე (15§2) თანაბარი წვდომა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის
  - ბარიერების მოშლა ქარტიის წევრ სხვა სახელმწიფოებში შემოსავლიანი საქმიანობის დასაწყებად(18)
- თანაბარი შრომითი შესაძლებლობები და ანაზღაურება ქალებისა და მამაკაცებისთვის (1§2, 4§3, 20)
- ექსპლუატაციის აკრძალვა:
  - იძულებითი ან ძალადობრივი შრომის აკრძალვა, პატიმართა შრომისა და შიდა სამუშაო ბაზრის რეგულირება (1§2)
  - 15 წელზე მცირე ასაკის ბავშვების შრომის აკრძალვა (7§1)
- კოლექტიური შრომითი ურთიერთობები:
  - პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების შექმნის ან მათში გაწევრიანების უფლება, მათი საქმიანობების დამოუკიდებლად წარმართვის გარანტია (5) და მშრომელთა წარმომადგენლების დაცვა (28)
  - ერთობლივი კონსულტაციები (6§1), კოლექტიური შეთანხმება (6§2), შრომითი დავების მოგვარება (6§3) და კოლექტიური ქმედება (6§4)
  - მშრომელთა ინფორმირება, კონსულტირება (21) და შრომითი პირობებისა და გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მათი ჩართვა (22)

- მშრომელთა დაცვა:
  - ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო ადგილი (3), სამართლიანი სამუშაო პირობები (2) და ღირსეული ანაზღაურება (4§1, 4§2, 4§5)
  - მშრომელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (1§2), მათი დაცვა შევიწროების ნებისმიერი ფორმისაგან (26)
  - დასაქმებული ახალგაზრდების (15-დან 18 წლამდე) დაცვა (7), ქალების დაცვა დედობასთან დაკავშირებულ საკითხებში (8) და ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა დაცვა (27)
- გარანტიები დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში (4§4, 24, 25, 29, 8§2, 27§3)

სოციალური დაცვა

- სიღარიბისა და სოციალური გარიყვისაგან დაცვა (30)
- სათანადო სოციალური უსაფრთხოება (12), წევრ ქვეყნებს შორის გადაადგილებული პირების თანაბარი შრომითი მოპყრობა (12§4)
- სათანადო სოციალური და სამედიცინო დახმარება ხელმოკლე ადამიანებისთვის (13§1,13§4)
- სიღარიბის პრევენცია, აღმოფხვრა ან შემცირება (13§3)
- ეფექტიანი და მაღალხარისხიანი სოციალური მომსახურება (14), კონსულტირების, რჩევის, საცხოვრებელ ადგილზე დახმარების, შინმოვლის ჩათვლით
- ზომები ოჯახების დასახმარებლად (მაგ. ოჯახური კონსულტაციები, საშუამდგომლო მომსახურება, ოჯახში ძალადობისაგან დაცვა, ოჯახური შეღავათები), თანასწორობა მეუღლეებისთვის, მშობლის უფლებების დაცვა, ბავშვზე ზრუნვის ინსფრასტრუქტურისა და სერვისების უზრუნველყოფა (16, 27§1)
- მცირეწლოვანთა დაცვა ფიზიკური და მორალური საფრთხეებისგან, როგორიცაა სექსუალური ექსპლუატაცია, ადამიანებით ვაჭრობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების არასწორი გამოყენება (7§10), არაჯანსაღი მოპყრობა და შევიწროება, მათ შორის ფიზიკური დასჯა (17)

ინტეგრაცია და ჩართულობა

- ხანდაზმული ადამიანების უფლება, დარჩნენ საზოგადოების აქტიურ წევრებად; მათთვის სათანადო მომსახურების, ინფრაქტრუქტურის, განსახლებისა და ჯანდაცვის სერვისების უზრუნველყოფა, ხანდაზმულ პირებზე ინსტიტუციური მზრუნველობა და მათი დაცვა ძალადობისაგან (23)
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაციის აკრძალვის გზით; დაინტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული პოლიტიკის გატარების გზით, ტექნიკური და ფინანსური დახმარებით მათი

ავტონომიის მხარდასაჭერად. ინკლუზიური ზომების შემუშავება კომუნიკაციის, ტრანსპორტირების, განსახლების, კულტურულ საქმიანობებში ჩართვისა და დასვენების თანასწორი უფლების უზრუნველსაყოფად (15§3)

- მიგრანტ მუშაკთა ინფორმირება და მომსახურება (19§1-3)
- მიგრანტ მუშაკთა თანასწორი შრომითი მოპყრობა, თანაბარი ანაზღაურება და სხვა შრომითი პირობები, პროფკავშირების წევრობის უფლება, კოლექტიური ხელშეკრულებების უპირატესობებით სარგებლობა განსახლებასთან (19§4), გადასახადებთან, შემოსავლებთან, მართლმსაჯულებაზე წვდომასთან (19§7) დაკავშირებით
- ოჯახის გაერთიანების უფლება მიგრანტი მუშაკებისთვის (19§6) და მათი დაცვა დეპორტაციისაგან (19§8)

დისკრიმინაციის აღმოფხვრა

ქარტიით გათვალისწინებული უფლებები გარანტირებული უნდა იყოს თითოეული ადამიანისთვის, მათ შორის კანონიერად მცხოვრები და/ან მომუშავე უცხოელებისთვის; დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა სახის შეხედულების, გეოგრაფიული თუ სოციალური წარმომავლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეროვნული უმცირესობისადმი მიკუთვნების, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე (E)

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“), აკონტროლებს წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლობების შეთავსებას ქარტიის მოთხოვნებთან. მის თხუთმეტ დამოუკიდებელ წევრს ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ექვსწლიანი ვადით, რომლის გაგრძელება ერთხელ არის შესაძლებელი. კომიტეტი ორი პროცედურის საშუალებით ასრულებს ზედამხედველობის ფუნქციას: ესენია ანგარიშგების პროცედურა და კოლექტიური საჩივრების პროცედურა.

ანგარიშგების პროცედურა

წევრი ქვეყნები რეგულარულად წარადგენენ ანგარიშებს ქარტიის დებულებებათა შესრულების შესახებ. თითოეული ანგარიში მზადდება ქარტიის იმ დებულებებზე, რომლებზეც მოცემული სახელმწიფო მიერთებულია.

კომიტეტი შეისწავლის ვითარებას წევრ ქვეყნებში და ადგენს, შეესაბამება თუ არა იგი ქარტიის მოთხოვნებს. მისი „დასკვნები“ ყოველწლიურად ქვეყნდება.

თუ წევრი სახელმწიფო არაფერს მოიმოქმედებს კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს დასკვნას, რომ ეს ქვეყანა არ ასრულებს ქარტიის მოთხოვნებს, მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია, რეკომენდაცია გაუგზავნოს ასეთ ქვეყანას და მოსთხოვოს მას ვითარების შეცვლა როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე. მინისტრთა კომიტეტის სამუშაოს ამზადებს ქარტიის წევრი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებისგან შემდგარი სამთავრობო კომიტეტი, ევროპის დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელ დამკვირვებელთა დახმარებით.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

ქარტიის დამატებითი ოქმის მიხედვით, რომელიც 1998 წელს შევიდა ძალაში, ადგილობრივ პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს, ისევე, როგორც ზოგიერთ ევროპულ პროფკავშირსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციას (ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ETUC), BUSINESSEUROPE (ყოფილი UNICE), დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE)), ასევე ზოგიერთ საერთაშორისო არასამთავრობო ირგანიზაციას, შეუძლია კომიტეტის

წინაშე საჩივრის შეტანა ქარტიის დებულებათა დარღვევის შესახებ. საჩივრის შეტანა შეუძლიათ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შესაბამისი ქვეყნის მხრიდან ასეთი განაცხადის შემთხვევაში.

საჩივარი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს, რომ საჩივრის წარმდგენი ორგანიზაცია ასრულებს ოქმის მოთხოვნებს. მასში მითითებული უნდა იყოს სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც ხდება საჩივრის შეტანა, ქარტიის ის დებულება (დებულებები), რომელიც (რომლებიც) დაირღვა საჩივრის წარმდგენთა აზრით და დავის საგანი, სხვა დამხმარე განმარტებით დოკუმენტებსა და საჭირო დაზუსტებებთან ერთად.

საჩივარი დაწერილი უნდა იყოს ინგლისურად ან ფრანგულად ან, ადგილობრივი ორგანიზაციების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე (ენებზე).

კომიტეტი შეისწავლის საჩივარს და თუ მისაღებად მიიჩნევს მას, წამოიწყებს წერილობით პროცედურას მხარეებისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით. კომიტეტს შეუძლია საჯარო მოსმენის დანიშვნა საჩივრის განხილვის პროცესში. საჩივრის მართებულობასთან დაკავშირებით თავის საბოლოო გადაწყვეტილებას კომიტეტი უგზავნის მომჩივან და მოპასუხე მხარეებს და მინისტრთა კომიტეტს. ამ გადაწყვეტილებას ანგარიშის სახე აქვს, რომელიც ოთხი თვის ვადაში უნდა გასაჯაროვდეს.

თუ კომიტეტი გამოავლენს ქარტიის დებულებათა დარღვევას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს შესაბამის მოპასუხე ქვეყანას, განსაზღვროს ზომები, რომლებითაც აპირებს არსებული ვითარების მორგებას ქარტიის მოთხოვნებთან. კომიტეტი იღებს რეზოლუციას და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციასაც აძლევს შესაბამის ქვეყანას, კონკრეტული ზომები გაატაროს ქარტიის მოთხოვნების შესასრულებლად.

ქარტიის გამოყენების შედეგები სხვადასხვა სახელმწიფოში

მონიტორინგის სისტემის შედეგად სახელმწიფოებმა ცვლილებები შეიტანეს ადგილობრივ კანონებში და/ან პრაქტიკაში, რათა შიდა ვითარება ქარტიის დებულებებისთვის მოერგოთ. ამ შედეგების (და მიმდინარე ცვლილებების) შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია ქვეყნების მონაცემთა ცხრილებში, რომლებიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: **www.coe.int/socialcharter**

დამატებითი ინფორმაცია ქარტიის შესახებ

- სოციალური ქარტიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა წევრი ქვეყნის ანგარიშები, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები,

გადაწყვეტილებები და ქვეყნების საინფორმაციო ცხრილები

- ქარტიის მონაცემთა ბაზა HUDOC (http://hudoc.esc.coe.int)და ქარტიის მაცნე კომიტეტის პრეცედენტული სამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებას იძლევა
- ბიბლიოგრაფია, რომლის განახლებაც ხდება რეგულარულად.

ევროპის სოციალური ქარტიის დეპარტამენტი
გენერალური დირექტორატი ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg Cedex

- **Email:** social.charter@coe.int
- **Web:** www.coe.int/socialcharter
- **Twitter:** @social_charter

ევროპის საბჭოსა და ევროპის სოციალური ქარტიის წევრი ქვეყნები

ვითარება 2020 წლის 1 ივნისის მდგომარეობით

წევრი ქვეყნები		ხელმოწერა	რატიფიკაცია	კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება	
ალბანეთი		21/09/1998	14/11/2002		
ანდორა		04/11/2000	12/11/2004		
სომხეთი		18/10/2001	21/01/2004		
ავსტრია		07/05/1999	20/05/2011		
აზერბაიჯანი		18/10/2001	02/09/2004		
ბელგია		03/05/1996	02/03/2004	23/06/2003	
ბოსნია და ჰერცეგოვინა		11/05/2004	07/10/2008		
ბულგარეთი		21/09/1998	07/06/2000	07/06/2000	
ხორვატია		06/11/2009	**26/02/2003**	26/02/2003	
კვიპროსი		03/05/1996	27/09/2000	06/08/1996	
ჩეხეთის რესპუბლიკა		04/11/2000	**03/11/1999**	04/04/2012	
დანია	*	03/05/1996	**03/03/1965**		
ესტონეთი		04/05/1998	11/09/2000		
ფინეთი		03/05/1996	21/06/2002	17/07/1998	X
საფრანგეთი		03/05/1996	07/05/1999	07/05/1999	
საქართველო		30/06/2000	22/08/2005		
გერმანია	*	29/06/2007	**27/01/1965**		
საბერძნეთი		03/05/1996	18/03/2016	18/06/1998	
უნგრეთი		07/10/2004	20/04/2009		
ისლანდია		04/11/1998	**15/01/1976**		
ირლანდია		04/11/2000	04/11/2000	04/11/2000	
იტალია		03/05/1996	05/07/1999	03/11/1997	
ლატვია		29/05/2007	26/03/2013		
ლიხტენშტეინი		**09/10/1991**			

წევრი ქვეყნები		ხელმოწერა	რატიფიკაცია	კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება
ლიეტუვა		08/09/1997	29/06/2001	
ლუქსემბურგი*	*	11/02/1998	**10/10/1991**	
მალტა		27/07/2005	27/07/2005	
მოლდოვის რესპუბლიკა		03/11/1998	08/11/2001	
მონაკო		05/10/2004		
მონტენეგრო		22/03/2005	03/03/2010	
ნიდერლანდები		23/01/2004	03/05/2006	03/05/2006
ნორვეგია		07/05/2001	07/05/2001	20/03/1997
პოლონეთი		25/10/2005	**25/06/1997**	
პორტუგალია		03/05/1996	30/05/2002	20/03/1998
რუმინეთი		14/05/1997	07/05/1999	
რუსეთის ფედერაცია		14/09/2000	16/10/2009	
სან მარინო		18/10/2001		
სერბეთი		22/03/2005	14/09/2009	
სლოვაკეთის რესპუბლიკა		18/11/1999	23/04/2009	
სლოვენია		11/10/1997	07/05/1999	07/05/1999
ესპანეთი		23/10/2000	**06/05/1980**	
შვედეთი		03/05/1996	29/05/1998	29/05/1998
შვეიცარია		**06/05/1976**		
ჩრდილოეთ მაკედონია		27/05/2009	06/01/2012	
თურქეთი		06/10/2004	27/06/2007	
უკრაინა		07/05/1999	21/12/2006	
გაერთიანებული სამეფო	*	07/11/1997	**11/07/1962**	
ქვეყნების რაოდენობა	47	**2** + 45 = 47	**9** + 34 = 43	15

მსხვილი შრიფტით გამოსახული მონაცემები შეესაბამება 1961 წლის ქარტიის ხელმოწერის ან რატიფიკაციის თარიღს; დანარჩენი მონაცემები ასახავს ქარტიის განახლებული, 1996 წლის ვერსიის ხელმოწერას ან რატიფიკაციას.

* სახელმწიფოები, რომელთა მიერ რატიფიკაცია აუცილებელია 1991 წლის ცვლილებათა ოქმის ძალაში შესვლისთვის. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ეს ოქმი პრატიკულად უკვე გამოიყენება.

X სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების უფლება, კოლექტიური საჩივარი შეიტანონ მის წინააღმდეგ.

ეს ცხრილი მუდმივად ახლდება ქარტიის ვებ-გვერდზე: **www.coe.int/socialcharter**

ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც მიღებული იქნა 1961 წელს და განახლდა 1996 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგია ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში. ის იცავს დასაქმების, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის უფლებებს.

არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ უზრუნველყოფს სოციალური უფლებების ისეთ ყოვლისმომცველ და სრულ დაცვას ევროპის მასშტაბით, როგორსაც სოციალური ქარტია.

ამრიგად, ქარტია აღიქმება, როგორც ევროპის სოციალური კონსტიტუცია და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სტრუქტურის არსებით შემადგენელ ნაწილს კონტინენტზე.

PREMS 066120

www.coe.int/socialcharter

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE